



საქართველოსა და სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება

რეზიუმე

საქართველოსა და სომხეთს შორის ფასებისა და რეალური დანახარჯების შედარების ძირითადი მიზანი იყო ის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შედარების პროგრამის (ICP) 2011 წლის რაუნდში. აღნიშნული პროგრამა კოორდინირებულია მსოფლიო ბანკის მიერ და მოიცავს დაახლოებით 200 ქვეყანას. ეს ანგარიში ეხება მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს შორის ორმხრივი შედარების შედეგებს, რაც საინტერესოა იმითაც, რომ ქვეყნები მსგავსი ზომის არიან და მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვთ.

2011 წელს, საქართველო=100 პირობით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე სომხეთში შეადგენდა 105.3, 2005 წლის 114.3-სგან განსხვავებით. მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის მიხედვით, სომხეთი კვლავ წინაა, თუმცა სხვაობა მცირდება. საქართველო = 100 პირობით, მშპ-თვის ფასების დონე სომხეთში 2011 წელს 98.9 იყო, 2005 წლის 95.7-ისგან განსხვავებით. მშპ-ის ფასების დონე საქართველოში სომხეთთან შედარებით კვლავ უფრო მაღალია, თუმცა განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირებულია 2005 წელთან შედარებით. 2005-2011 წლებში ორი ქვეყანა უფრო მიუახლოვდა ერთმანეთს ერთ სულზე რეალური მშპ-სა და ფასების საერთო დონის მიხედვით.

სხვა ძირითადი დასკვნები:

- 2011 წელს სომხეთში გაიყიდა დაახლოებით ორჯერ მეტი მოცულობის სურსათი მაღაზიებში, ვიდრე საქართველოში. ეს განსხვავება, როგორც ჩანს, გამოწვეულია ქართველების მიერ მეტი სურსათის მოხმარებით რესტორნებში;
- მსგავსი სიტუაციაა სასმელებთან მიმართებაშიც. მაგალითად, 2011 წელს სომხეთში 83 პროცენტით მეტი ალკოჰოლური სასმელი გაიყიდა მაღაზიებში, ვიდრე საქართველოში, თუმცა ქართველები მეტ ასეთ სასმელს სვამენ ბარებსა და რესტორნებში;
- 2011 წელს ქართველებმა მოიხმარეს 80 პროცენტით მეტი თამბაქოს ნაწარმი მოსახლეობის ერთ სულზე, ვიდრე სომხებმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თამბაქოს ნაწარმის ფასები 12 პროცენტით უფრო მაღალი იყო;
- 2011 წელს, სომხებთან შედარებით, ქართველებმა გაცილებით მეტად მოიხმარეს ჯანდაცვის მომსახურება, ავეჯი, საოჯახო ნივთები და სახლის მოვლა-შეკეთება, მეტი დახარჯეს სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე და მრეწველობისთვის განკუთვნილ მანქანა-დანადგარებზე. ქართველებთან შედარებით, სომხებმა შეიძინეს

მნიშვნელოვნად უფრო მეტი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები, კავშირგაბმულობა და მშენებლობა;

- 2011 წელს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების უმეტესობისთვის ფასების დონეები მსგავსი იყო. ძირითადი გამონაკლისებია პურ-ფუნთუშეული და რძის პროდუქტები, ალკოჰოლი, თამბაქო, საცხოვრებელი სახლი, განათლება და სატრანსპორტო მომსახურება, რომლებიც 10 პროცენტზე მეტად ძვირი იყო საქართველოში; ზეთები და ცხობისთვის საჭირო ცხიმები, ხილი და ბოსტნეული, სატრანსპორტო საშუალებები და კავშირგაბმულობა 10 პროცენტზე მეტად ძვირი იყო სომხეთში.
- საინვესტიციო საქონლის ფასები მაღალი იყო სომხეთში საქართველოსთან შედარებით როგორც 2005, ისე 2011 წელს. საშუალო ფასები მანქანა-დანადგარებზე დაახლოებით 20 პროცენტით მაღალი იყო სომხეთში 2011 წელს (4 პროცენტით მაღალი 2005 წელს); შენობებისა და მშენებლობის ფასების დონი ინდექსი დაახლოებით 5 პროცენტით მაღალი იყო სომხეთში 2011 წელს (11 პროცენტით მაღალი 2005 წელს).

ეს პროექტი მოითხოვდა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობას 1200-ზე მეტი საქონლისა და მომსახურების ფასების შეგროვებაში, იმის შემოწმებაში თუ რაოდენ სწორად მოხდა მსგავსის შედარება მსგავსთან და რამდენად სწორად იქნა გამოთვლილი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები და რეალური დანახარჯები. პროექტის წარმატებით დასრულება არმსტატისა და საქსტატის სტატისტიკოსებს შორის ბრწყინვალე პროფესიონალური თანამშრომლობის დასტურია.

განსაკუთრებული მადლობა

ფასებისა და რეალური დანახარჯების შედარება წარმოადგენს ერთობლივ პროექტს, რომელიც შესრულდა საქართველოსა და სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების - საქსტატისა და არმსტატის მიერ, მსოფლიო ბანკში განთავსებულ ICP-ის გლობალურ ოფისთან ერთად.

არმსტატის მხრიდან მონაწილეობდნენ შემდეგი თანამშრომლები:

- გაგიკ გევორგიანი - სტატისტიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი;
- გურგენ მარტიროსიანი - ფასების სტატისტიკისა და საერთაშორისო შედარებების სამმართველოს უფროსი;
- მარიამ იერიციანი - ფასების სტატისტიკისა და საერთაშორისო შედარებების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- გაიანე პეტროსიანი - ფასების სტატისტიკისა და საერთაშორისო შედარებების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- კარინე ავეტისიანი - ფასების სტატისტიკისა და საერთაშორისო შედარებების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი;
- ლუსია ხაჩატრიანი - ეროვნული ანგარიშებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების სამმართველოს უფროსი;
- ნადეჟდა ასტრაცატუროვა - ეროვნული ანგარიშებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

საქსტატის მხრიდან მონაწილეობდნენ შემდეგი თანამშრომლები:

- თენგიზ ცეკვავა - აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
- ლევან ქარსაულიძე - ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი;
- ლევან გოგობერიშვილი - ეროვნული ანგარიშების სამმართველოს უფროსი;
- ციცილო ლობჟანიძე - ფასების სტატისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- ნანა წიკლაური - ფასების სტატისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- მათია ჭელიძე - ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- ნონა წიკლაური - ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- გელა დარჯანია - ფასების სტატისტიკის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი;
- გიორგი მელიქოვი - ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- ხათუნა აფციაური - ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- მეგი გოგობერიშვილი - ფასების სტატისტიკის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელი;
- მაკა კალანდარიშვილი - ეროვნულ ანგარიშთა სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

არმსტატისა და საქსტატის თანამშრომლების მონაწილეობა ცხრა საკონსულტაციო შეხვედრაში დაფინანსდა ICP-ის გლობალური ოფისის მიერ მოზიდული მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული შეხვედრები გაიმართა თბილისსა და ერევანში 2010-2013 წლების განმავლობაში. ICP-ის გლობალურმა ოფისმა ასევე უზრუნველყო 3 ექსპერტის მონაწილეობა შედარებებში დასახმარებლად. ესენი არიან:

საერთაშორისო სტატისტიკური კონსულტანტები დერეკ ბლეიდსი და დევიდ რობერტსი და ავსტრიის სტატისტიკის უფროსი ეკონომისტი და სტატისტიკოსი სერგეი სერგეევი.

ამ შედარების შედეგები ჩართულ იქნა საერთაშორისო შედარების პროგრამის (ICP) 2011 წლის რაუნდში, რომელიც კოორდინირებული იყო მსოფლიო ბანკში განთავსებული ICP-ის გლობალური ოფისის მიერ.

ამ ერთობლივმა პროექტმა ორივე ქვეყანას მისცა იმის შესაძლებლობა, რომ ესწავლათ ერთმანეთისგან და გაეუმჯობესებინათ საერთაშორისო პრაქტიკა ფასების სტატისტიკისა და ეროვნული ანგარიშების სფეროებში, რაც არის ორი ქვეყნის სტატისტიკოსებს შორის არსებული ბრწყინვალე პროფესიონალური სამუშაო ურთიერთობების მაგალითი.

მადლობას ვუხდით ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა მხარეს და ვულოცავთ ამ პროექტის წარმატებით დასრულებას.

არმსტატის პრეზიდენტი	ICP-ს გლობალური მენეჯერი, მსოფლიო ბანკი	საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი
სტეფან მნაცაკანიანი	(Michel Mouyelo-Katoula)	მერი დაუშვილი

შინაარსი

რეზიუმე.....	1
განსაკუთრებული მადლობა.....	3
საქართველოსა და სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება.....	6
შესავალი	6
როგორ მოხდა რეალური დანახარჯების შედარება.....	7
ფასების დონეების შედარება საქართველოსა და სომხეთში	8
ოთხი პრობლემური არე.....	9
საცხოვრებელი სახლის ქირა	10
შენობები და მშენებლობა.....	10
მთავრობის მომსახურებები.....	11
რეფერატიული PPP-ები	11
შედეგების საიმედოობა.....	12
შედეგები	13
ცხრილი 1: ძირითადი შედეგები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით: 2011.....	18
ცხრილი 2: საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები: 2011.....	19
ცხრილი 3: საქონელი და მომსახურება: 2011	19
ცხრილი 4: სასაქონლო ჯგუფები: 2005.....	20
ტექნიკური დანართი.....	21

საქართველოსა და სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება

შესავალი

2011 წელს საქართველოსა და სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მიერ განხორციელდა ფასების შეგროვება ერთსა და იმავე დასახელების საქონლისა და მომსახურების ვრცელი ნაკრებისთვის. მიზანი იყო თითოეულ ქვეყანაში ფასების დონის შეფასება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ორივე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და დანახარჯების მთავარი კომპონენტების შედარება რეალურ ბაზაზე. „რეალური ბაზა“ გულისხმობს თითოეულ ქვეყანაში მოხმარებული საქონლისა და მომსახურების მოცულობების შედარებას. როდესაც ვზომავთ ქვეყნის მშპ-ს რეალურ ზრდის ტემპს უნდა გამოვრიცხოთ ფასების ცვლილება წლიდან წლამდე. ამავე პრინციპით დროის კონკრეტული მომენტისთვის ქვეყნების რეალური მშპ-ს შედარების დროსაც უნდა მოხდეს ფასებს შორის განსხვავების გამორიცხვა.

ეს ერთობლივი პროექტი საქსტატსა და არმსტატს შორის არის საერთაშორისო შედარების პროგრამის (*International Comparison Program (ICP)*) ნაწილი, რომელიც ორგანიზებულია მსოფლიო ბანკის¹ მიერ გლობალური შედარებების განსახორციელებლად დაახლოებით 200 ქვეყნისთვის 2011 წელს. ICP 2011-ის ანგარიში გამოქვეყნდა 2014 წლის დასაწყისში. ის გვიჩვენებს საქართველოსა და სომხეთის მთლიანი და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ფარდობით მოცულობებს მსოფლიოს ქვეყნების მშპ-სთან მიმართებით. ეს ანგარიში ეხება მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის ორმხრივ შედარებას. ის გვიჩვენებს რეალური მშპ-ის შედარებით მოცულობებს, როგორც მთლიანს, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მშპ-ის მთლიან მოცულობასთან ერთად, ეს ანგარიში ასევე ადარებს ერთმანეთს მშპ-ის დანახარჯების მთავარი კომპონენტების ფარდობით მოცულობებს, კერძოდ: შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯებს, მთავრობის დანახარჯებს, ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებასა (ანუ ინვესტიციებს) და დანახარჯების ამ კომპონენტების შიგნით ზოგიერთ მნიშვნელოვან ჯგუფს. რეალური მშპ-ის ამ კომპონენტებთან ერთად, ეს ანგარიში ასევე გვიჩვენებს ორი ქვეყნის სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასების შედარებით დონეებს.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის 2011 წლის ანგარიშის შედეგები მოცემულია საერთაშორისო დოლარში, თუმცა ამ ორი ქვეყნის მშპ-ს ფარდობითი სიდიდეები და დანახარჯების კომპონენტები ამ ანგარიშში წარმოდგენილი მაჩვენებლების იდენტურია.

¹ მსოფლიო ბანკმა დააფინანსა კონსულტანტები ორმხრივი შედარების კონსულტირებისთვის, მაგრამ მონაცემთა შეგროვება, შემოწმება და გამოანგარიშებები შესრულებული იყო საქსტატისა და არმსტატის სტატისტიკოსების მიერ. ICP 2011-ზე დამატებითი ინფორმაცია იხ. : http://siteresources.worldbank.org/ICPEXT/Resources/ICP_2011.html

როგორ მოხდა რეალური დანახარჯების შედარება²

როდესაც ჩვენ ვანგარიშობთ ფასების ისეთ ინდექსს, როგორც არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პირველად ვანგარიშობთ ფასების ცვლილებას ერთი პერიოდიდან მეორემდე, ინდექსისთვის შერჩეული თითოეული საქონლის მიმდინარე პერიოდის ფასის შეფარდებით ამავე საქონლის ფასთან გასულ პერიოდში. ფასების ეს ცვლილებები შემდგომ საშუალოვდება მთლიანი ინდექსის მისაღებად წონების გამოყენებით, რაც გვიჩვენებს საქონლის შედარებით მნიშვნელოვნებას. სამომხმარებლო ფასების ინდექსი „დროითი“ ინდექსია: ის ზომავს ფასების ცვლილებას დროის განმავლობაში. როდესაც ვანგარიშობთ ფასების „სივრცით“ ინდექსს ქვეყნებს შორის ფასების განსხვავების შედარებისთვის, ზუსტად ანალოგიურად ვიქცევით: ვაფარდებთ სხვადასხვა სახეობის ხორცის ფასებს საქართველოში ამავე საქონლის ფასებთან სომხეთში - თითოეულს თავის ვალუტაში, შესაბამისად, ლარსა და დრამში. სხვადასხვა სახეობის ხორცისთვის მიღებული ფარდობითი ფასები გამოიყენება საშუალო ფარდობითი ფასის ან „მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის“ (PPP) მისაღებად ხორცის სასაქონლო ჯგუფისთვის. შემდგომ ეს PPP-ები ხორცისთვის და სხვა სურსათისთვის საშუალოვდება მთლიან მშპ-ში მათზე დანახარჯების წილების საშუალებით, სურსათის PPP-ს მისაღებად. შემდგომ გასაშუალოებულია PPP სურსათისთვის დანახარჯების წილების მიხედვით, რაც ასახავს მის მნიშვნელოვნებას მშპ-ში, ყველა სხვა ტიპის ხარჯებთან ერთად მთლიანი PPP-ს - ან ქვეყანათაშორისი ფასების ინდექსის მისაღებად მშპ-თვის. გამომდინარე იქიდან, რომ დანახარჯების წილები განსხვავებულია საქართველოსა და სომხეთში, ჩვენ ვიყენებთ თითოეული ქვეყნის დანახარჯების წილებს როგორც წონებს და ორ შედეგს ვასაშუალოებთ.

ცხრილი A გვიჩვენებს, როგორ გამოიყენება PPP-ები თითოეული ქვეყნის ვალუტაში გამოხატული ნომინალური დანახარჯების „დეფლირებისთვის“, **რეალური დანახარჯების** მისაღებად, რაც არის შედარების მთავარი მიზანი.

(1) და (2) სვეტები გვაძლევს დანახარჯებს სამომხმარებლო საქონლის სამ ჯგუფზე, სომხეთისა და საქართველოს ეროვნული ანგარიშების შესაბამისად. (3) და (4) სვეტები გვიჩვენებს თითოეული ქვეყნის დანახარჯებს მეორესთან შედარებით - ერთი სომხეთის, როგორც საბაზო ქვეყანა (ARM = 1), მეორე - საქართველოს, როგორც საბაზო ქვეყანა (GEO = 1), რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც $1 / (ARM = 1)$.

(5) და (6) სვეტები გვიჩვენებს ფასების ფარდობებს, ანუ PPP-ებს. ამის წარმოდგენა კვლავ ორნაირად არის შესაძლებელი: საბაზოდ სომხეთის ვალუტის შერჩევით, ან საქართველოს ვალუტის შერჩევით - თითოეული მათგანი მეორის შებრუნებული სიდიდეა.

ბოლო ორი სვეტი გვიჩვენებს რეალური დანახარჯების ფარდობებს, რომლებიც მიღებულია (1) და (2) სვეტების შეფარდებითი ნომინალური დანახარჯების გაყოფით PPP-ებზე (5) და (6) სვეტებში. ამ შემთხვევაშიც არსებობს ორი რეალური ფარდობითი დანახარჯი, იმისდა

² ტექნიკური დანართი გვაძლევს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშების მეტად დეტალურ აღწერას ამ შედარებისთვის.

მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა არის არჩეული საბაზისოდ. თითოეული მათგანი არის მეორის შებრუნებული მნიშვნელობა.

სვეტი (7) გვიჩვენებს: როდესაც სომხეთის რეალური დანახარჯები სურსათზე 100.0-ის ტოლია, საქართველოს რეალური დანახარჯები სურსათზე მხოლოდ 72.0-ია. ალტერნატიულად, სვეტი (8) გვიჩვენებს: როდესაც საქართველოს რეალური დანახარჯი 100-ის ტოლია, სომხეთის რეალური დანახარჯი 138.9-ის ტოლია. თვალსაჩინოა, რომ სომხეთის დანახარჯი სურსათზე მნიშვნელოვნად მეტია საქართველოსთან შედარებით. ანალოგიურია A-ცხრილში წარმოდგენილი მომდევნო ორი სასაქონლო ჯგუფისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ეს არის მთლიანი რეალური დანახარჯები. ისინი შეიძლება დაყვანილ იქნეს მოსახლეობის ერთ სულზე, თითოეულის გაყოფით შესაბამისი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობაზე. აღნიშნული ცხრილი არ მოიცავს ამ ინფორმაციას, თუმცა მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ მთავარ ცხრილებში.

ცხრილი A. რეალური დანახარჯების მისაღებად PPP-ების გამოყენების მაგალითი								
	ნომინალური დანახარჯები				ფასების ფარდობები (ე.ი. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები, PPP-ები)		რეალური დანახარჯების ფარდობები	
	ARM	GEO	დანახარჯების ფარდობები					
	მლნ დრამი	მლნ ლარი	ARM=1	GEO=1	AMD=1	GEL=1	ARM=100	GEO=100
	(1)	(2)	(3) = (2)/(1)	(4) = (1)/(2)	(5)	(6)	(7) = [(3)/(5)] x 100	(8) = [(4)/(6)] x 100
სურსათი	1 738 749	5 632	0,003239	308,73	0,004518	221,34	71,7	139,5
უალკოჰოლო სასმელები	91 926	359	0,003905	256,06	0,004808	207,99	81,2	123,1
ალკოჰოლური სასმელები	123 914	618	0,004987	200,51	0,005723	174,73	87,1	114,8

ფასების დონეების შედარება საქართველოსა და სომხეთში

ფასების ფარდობები, ანუ PPP-ები, არის ლარში გამოხატული საქართველოს ეროვნული ფასების ფარდობა დრამში გამოხატულ სომხეთის ეროვნულ ფასებთან. შედეგად, PPP არ გამოიყურება ისეთ დროით ინდექსად, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსია, რომელიც გამოითვლება ერთსა და იმავე ვალუტაში გამოხატული ფასების შეფარდებით და პირობითად 100-ის ტოლად მიიჩნევა საბაზო პერიოდში. PPP-ების უკეთ გასაგებად და გამოსაყენებლად, ისინი შეიძლება „ნორმალიზებულ“ იქნეს ლარსა და დრამს შორის სავალუტო კურსზე გაყოფითა

და 100-ზე გამრავლებით. ეს გვამღევს ე.წ. „ფასების დონის ინდექსებს“ (Price Level Indices (PLIs)). ისინი გვიჩვენებს ფასების დონის განსხვავებებს, რომლებიც უნდა გამოირიცხოს მოცულობების ადეკვატური შედარებებისათვის. ცხრილი B გვიჩვენებს, როგორ გაიანგარიშება PLI-ები იმ სამი სასაქონლო ჯგუფისთვის, რომელიც წარმოდგენილია A-ცხრილში.

ცხრილი B: ფასები დონის ინდექსის (PLI) გაანგარიშების მაგალითი						
	მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (PPP)		გაცვლითი კურსი		ფასების დონის ინდექსი (PLI)	
	AMD=1	GEL=1	AMD=1	GEL=1	ARM=100	GEO=100
	(1)	(2)	(3)	(4)	(5) = (1)/(3)	(6) = (2)/(4)
სურსათი	0,004518	221,34	0,004526	220,932	99,8	100,2
უალკოჰოლო სასმელები	0,004808	207,99	0,004526	220,932	106,2	94,1
ალკოჰოლური სასმელები	0,005723	174,73	0,004526	220,932	126,4	79,1

(1) და (2) სვეტები არის A-ცხრილიდან აღებული PPP-ები. (3) და (4) სვეტები გვიჩვენებს გაცვლით კურსებს. შესაბამისად, ლარების ოდენობას, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნეს ერთი დრამით და დრამების რაოდენობას ერთი ლარისთვის. (5) და (6) სვეტები გვიჩვენებს ფასების დონის ინდექსებს სამი სასაქონლო ჯგუფისთვის, შესაბამისად, სომხეთსა და საქართველოში. ისინი მიღებულია PPP-ების გაყოფით გაცვლით კურსებზე და 100-ზე გამრავლებით.

სურსათს გააჩნია ფასების მსგავსი დონეები ორივე ქვეყანაში, მაგრამ უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელებს ფასების უფრო მაღალი დონე აქვს საქართველოში. როდესაც დრამს გადავცვლით ლარში, აღმოჩნდება, რომ ეს პროდუქტები საქართველოში უფრო ძვირია, და პირიქით.

ოთხი პრობლემური არე

დანახარჯების უმეტესობისთვის PPP-ების გაანგარიშება შესაძლებელია ერთსა და იმავე საქონელსა და მომსახურებაზე სხვადასხვა ქვეყანაში დაფიქსირებული მყიდველის ფასების შეფარდებით, თუმცა ზოგიერთი დანახარჯი სპეციალური მეთოდის გამოყენებას მოითხოვს.

საცხოვრებელი სახლის ქირა

შინამეურნეობათა სამომხმარებლო დანახარჯები მოიცავს **საცხოვრებელი სახლის ქირას**. საერთაშორისოდ შეთანხმებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (System of National Accounts (SNA))³ თანახმად, ის მოიცავს როგორც ქირას, რომელსაც დამქირავებლები უხდიან სახლის მეპატრონეებს, ასევე **პირობით ქირას**, რომელსაც, SNA-ის თანახმად, სახლის მეპატრონეები უხდიან საკუთარ თავს. SNA-ის თანახმად, მეპატრონეების მიერ საკუთარი თავისთვის „გადახდილი“ ქირა იმპუტირებულ უნდა იქნეს იმ ქირის მიხედვით, რომელიც ჩვეულებრივად გადახდილია მსგავს სახლებსა და ბინებში. ხშირ შემთხვევაში ორივე ქვეყანას გააჩნია სირთულეები მესაკუთრის სარგებლობაში არსებული სახლისთვის რეალური ქირის განსაზღვრაში. შედეგად, ეროვნული ანგარიშების შეფასებები საცხოვრებლის ქირის შესახებ შეიძლება დაბალი ხარისხის იყოს. მოცულობების ფარდობები მიიღება დანახარჯების PPP-ებზე გაყოფით, მაგრამ, თუ დანახარჯების ფარდობები დაბალი ხარისხით არის შეფასებული, მოცულობათა ფარდობებიც ასევე დაბალი ხარისხის იქნება. ამიტომ, მოცულობების ფარდობების PPP-დან არაპირდაპირი გზით მიღების ნაცვლად, საცხოვრებლის ქირის მოცულობათა ფარდობები მიღებულ იქნა პირდაპირი გზით, ორი ქვეყნის „საცხოვრისის მომსახურების“ მოცულობის შედარებით.

მოცულობების შეფარდების გაანგარიშება მოხდა შემდეგნაირად:

- საცხოვრებელი სახლის ფართობი კვადრატულ მეტრებში აღებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი ინდიკატორი საცხოვრისის მომსახურებისთვის ორივე ქვეყანაში;
- ხარისხობრივი ინდიკატორი გაანგარიშებულ იქნა, როგორც იმ საცხოვრისების პროცენტული წილის საშუალო ყოველ ქვეყანაში, რომლებშიც არის ელექტრობა, წყალგაყვანილობა და შიდა ტუალეტი;
- მთლიანი ფართობი თითოეული ქვეყნისთვის გამრავლებულია ხარისხობრივი ინდიკატორზე, საცხოვრისის მომსახურებების ხარისხობრივად შესწორებული ინდიკატორის მისაღებად;
- მოცულობების ფარდობები მიღებულია თითოეული ქვეყნის ხარისხობრივად შესწორებული ინდიკატორების ერთმანეთზე გაყოფით.

შენობები და მშენებლობა

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (Gross fixed capital formation (GFCF)) დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლისთვისაც ფასები უნდა შეგროვდეს. GFCF მოიცავს შენობებსა და მშენებლობას, რაც იწვევს განსაკუთრებულ პრობლემას, რადგანაც არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი შენობა ან მშენებლობა. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია ერთნაირი შენობების, ხიდების, გზებისა და სხვათა

³ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, The System of National Accounts (SNA), შედგენილ იქნა საერთაშორისო სააგენტოების კონსორციუმის მიერ, მათი წევრი ქვეყნების კონსულტირებით. 1993 წლის ვერსია რეკომენდებული სისტემაა ICP 2011-თვის. SNA 1993 შეიძლება ჩამოტვირთულ იქნეს შემდეგი მისამართიდან: <http://unstats.un.org/unsd/nationalaccount/sna.asp>

ფასების შედარება ორ ქვეყანაში. იმის ნაცვლად, რომ შედარებულიყო რეალური შენობებისა და მშენებლობების პროექტები, შეგროვდა რესურსების ფასები ანუ ფასები სამშენებლო მასალებზე, შრომასა და ტექნიკის დაქირავებაზე. შემდგომ გამოყენებულ იქნა ტექნიკური კოეფიციენტები ამ რესურსების ფასების კომბინირებისთვის და სტანდარტული შენობებისა და მშენებლობების რეპრეზენტატიული მწკრივის ფასების განსაზღვრისთვის, როგორცაა საცხოვრებელი სახლი, გზატკეცილის კილომეტრი, დაწყებითი სკოლა, სუპერმარკეტი, ქარხნის შენობა და ა.შ. ფასების შედარება საქართველოსა და სომხეთს შორის დაფუძნებული იყო ამ სტანდარტული შენობებისა და მშენებლობების პროექტების შეფასებულ ღირებულებაზე. ეს სტანდარტული შენობები და მშენებლობათა პროექტები „წარმოსახვითია“, რადგანაც რეალურად არც ერთი მათგანი არ აგებულა არც ერთ ქვეყანაში 2011 წელს. თუმცა ისინი რეპრეზენტატიულია იმ ნაგებობების სხვადასხვა სახეობისთვის, რომლებიც რეალურად აიგო.

მთავრობის მომსახურებები

კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს **მთავრობის დანახარჯები** ისეთი მომსახურებების მიწოდებაზე, როგორცაა თავდაცვა, მართლწესრიგი, ჯანდაცვა, განათლება, გადასახადების აკრეფა და ა.შ. ისინი წარმოადგენენ მშპ-ის ერთ-ერთ კომპონენტს. არც ერთი ამ სამთავრობო მომსახურებებიდან არ იყიდება, ამიტომ არ არსებობს ფასები, რომელთა შედარებაც შესაძლებელი იქნება ორ ქვეყანას შორის. აქედან გამომდინარე, ფასების ნაცვლად შედარება უნდა ეფუძნებოდეს მთავრობის მომსახურებების მიწოდების **ღირებულებას**. მთავარი დანახარჯი ამ სფეროში არის შრომის ანაზღაურება. მთავრობის მომსახურებების შედარება საქართველოსა და სომხეთს შორის უპირატესად განისაზღვრა ორ ქვეყანას შორის ხელფასებში განსხვავებებით ისეთ სახელმწიფო პროფესიებზე, როგორცაა პოლიციის ოფიცერი, მასწავლებელი, საგადასახადო ინსპექტორი, სტატისტიკოსი და სხვ.

რეფერატიული PPP-ები

ICP-კლასიფიკაცია მშპ-თვის 183 დეტალურ სასაქონლო ჯგუფს შეიცავს. ამ ჯგუფებიდან ზოგიერთისთვის ფასების შეგროვება არ მომხდარა, რადგან მათ აქვთ ძალიან მცირე წილი მშპ-ში, ან ვერ მოხერხდა, რადგან ფასები არ იყო ხელმისაწვდომი. საქონელზე, რომლისთვისაც ფასები არ შეგროვებულა, გავრცელდა **რეფერატიული PPP-ები**. რეფერატიული PPP არის ის PPP, რომელიც გაანგარიშებულია იმ სასაქონლო ჯგუფისთვის, რომელშიც ფასების ფარდობები მოიაზრება ფასების არმქონე ჯგუფების PPP-ს იდენტურად, ან არის „ნეიტრალური“ PPP, რაც გულისხმობს მათ ძალიან მცირე ზეგავლენას იმ დანახარჯების ერთობლიობაზე, რომელსაც ეს სასაქონლო ჯგუფი მიეკუთვნება. მაგალითად: GFCF მთავარი ერთობლიობის ყველა სასაქონლო ჯგუფისთვის შეგროვებული ფასებით გაანგარიშებული საშუალო PPP გამოიყენება, როგორც რეფერატიული PPP იმ სასაქონლო ჯგუფისთვის GFCF-ის შიგნით, რომლისთვისაც ფასები არ იქნა შეგროვებული. საქართველოსა და სომხეთს შორის ამ შედარებისთვის რეფერატიული PPP 41 სასაქონლო ჯგუფისთვის იქნა გამოყენებული.

რეფერატიული PPP-ისა და დანარჩენი სამი პრობლემისთვის მიღებული გადაწყვეტილებები შეთანხმებული იყო ICP-ის გლობალურ ოფისთან. მსგავსი მეთოდები გამოიყენება 2011 ICP-ში მონაწილე სხვა ქვეყნების მიერაც.

შედეგების საიმედოობა

PPP-ებისა და რეალური მშპ-ის ქვემოთ წარმოდგენილი გაანგარიშებების საიმედოობა დამოკიდებულია შემდეგზე:

- მშპ-ის შეფასებების სიზუსტე და შესადარისობა თითოეულ ქვეყანაში;
- დანახარჯების დეტალური წონების სიზუსტე;
- ფასებზე მონაცემების სიზუსტე და შესადარისობა.

საქსტატი და არმსტატი ორ ათწლეულზე მეტია ახორციელებენ მშპ-ს გაანგარიშებას, განაგრძობენ მოცვისა და საიმედოობის გაუმჯობესებას, ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გაანგარიშების უკეთესი მეთოდების მიღების პარალელურად. ორივე ქვეყანა იყენებს 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემას, შესაბამისად მშპ-ის მათი შეფასებები ეფუძნება ერთსა და იმავე განმარტებებსა და მეთოდებს.

ამ შედარებისთვის საქსტატსა და არმსტატს მოეთხოვათ მათი მთლიანი მშპ-ის დაყოფა 183 დეტალურ სასაქონლო ჯგუფად. აღნიშნული დაყოფა უფრო დეტალურია, ვიდრე რომელიმე ეს ქვეყანა იყენებდა თავისი მშპ-ის რეგულარულ შეფასებებში და ზოგიერთი დანახარჯის წონა შეიძლება საკმაოდ მიახლოებითი იყოს, სულ მცირე იმ საქონლისთვის, რომლებსაც ძალიან დაბალი წილი აქვს მთლიან მშპ-ში. მსხვილი, უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფებისთვის წონები გაცილებით უფრო ზუსტია. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქსტატსა და არმსტატს მოუწიათ მშპ-ის დაყოფა ასეთ დეტალურ დონეზე. ორივე ქვეყანა ოც წელზე მეტია მონაწილეობს საერთაშორისო შედარებებში და ამიტომ შეეძლოთ 183 სასაქონლო ჯგუფისთვის დანახარჯების შეფასება წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ორივე ქვეყანა აგროვებდა მონაცემებს ობიექტების რეპრეზენტატიული შერჩევიდან - სუპერმარკეტებიდან, მაღაზიებიდან, დახურული ბაზრობებიდან, ღია ბაზრობებიდან, მცირე მაღაზიებიდან და კიოსკებიდან. საქართველოში ფასები შეგროვდა მხოლოდ თბილისში და მოხდა საქართველოს ეროვნული საშუალო ფასების გაანგარიშება საქსტატის სამომხმარებლო ფასების ინდექსიდან აღებული მაკორექტირებელი კოეფიციენტების გამოყენებით. სამომხმარებლო ფასების ინდექსი თბილისის შემდეგ მოიცავს ოთხ უმსხვილეს ქალაქს. სომხეთში ფასები შეგროვდა 3 უმსხვილეს ქალაქისთვის (ერევანი, გიუმრი, ვანაძორი) და გასაშუალოვდა სომხეთის ეროვნული ფასების მისაღებად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა იმის დაზუსტებას, რომ „მსგავსი შეუდარდა მსგავსს“. ყურადღებით განისაზღვრა თითოეული საქონელი, რომლის ფასებიც შეგროვდა ორივე ქვეყანაში, მკაცრი შესადარისობის უზრუნველსაყოფად. ორივე ქვეყანა იყენებდა *პროდუქტების სტრუქტურისებულ აღწერას*, რომელიც შემუშავებულია ICP-ის გლობალური ოფისის მიერ. მაგალითად, საკვები პროდუქტებისთვის რაოდენობის, დაფასებისა და ხარისხის ყველა

მახასიათებელი ისე განისაზღვრა, რომ საქონელი, რომლისთვისაც ფასები შეგროვდა, მაქსიმალურად შესადარისი ყოფილიყო. ხშირ შემთხვევაში, უკეთესი შესადარისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდა ბრენდის დასახელებები - მაგალითად: McDonald's-ის ჩიზბურგერი, ხსნადი ყავა Nescafe, Coca-Cola Lite, ბრინჯი Uncle Ben's და სიგარეტი Marlboro.

ამკარაა, რომ შეუძლებელია ფასების შეგროვება ყველა საქონლისთვის თითოეულ ქვეყანაში, ამიტომ გაანგარიშებებში გამოყენებული ფასები შეგროვდა მხოლოდ განსაზღვრული საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლებიც მოიპოვება საქართველოსა და სომხეთში. ამდენად, ფასების ერთობლივი შესადარისობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონით ასახავს ამ მცირე შერჩევის ფასები იმ საქონელთა ფასებს, რომლებიც არ იქნა არჩეული. სიფრთხილე იქნა გამოჩენილი იმ საქონლის იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც უფრო გაყიდვადია თითოეულ ქვეყანაში. ფასების უმრავლესობა შეგროვდა იმ საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისათვის.

ყველა სტატისტიკური გაანგარიშება შეიცავს შეცდომას, თუმცა მსოფლიო ბანკის მრჩევლების დასკვნით, წარმოდგენილი შეფასებები ეფუძნება სტატისტიკას, რომელიც ყურადღებით იქნა მოპოვებული და შემოწმებული და რომლის ერთობლივი საიმედოობა მაღალია. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ აქ ნაჩვენებია PPP-ები და დანახარჯები ისევე სანდოა, როგორც სხვა მრავალი ქვეყნის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ Eurostat-OECD PPP პროგრამაში, რაც მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობს და სიზუსტის კარგ სტანდარტებს მიაღწია⁴.

შედეგები

1-3 ცხრილები 2011 წლისთვის საქართველოსა და სომხეთს შორის ორმხრივი შედარების შედეგებს იძლევა. ცხრილი 4 გვაძლევს შესადარის შედეგებს 2005 წლის ICP-ის რაუნდიდან, რადგანაც ზოგიერთ მკითხველს დააინტერესებს იმის ნახვა, თუ როგორ შეიცვალა მას შემდეგ ფასების ფარდობითი დონეები და რეალური დანახარჯები. საქართველო მონაწილეობდა ICP 2005-ში CIS-ის რეგიონული ჯგუფის წევრის სახით, რაც ნიშნავს, რომ საქართველო-სომხეთის შედარება 2005 წლისთვის ეფუძნება **მრავალმხრივ** შედარებას, **ორმხრივი** შედარებისგან განსხვავებით. მრავალმხრივ შედარებაში თითოეული ქვეყნის შედეგები გარკვეული დონით განიცდის ზეგავლენას ჯგუფში მყოფი სხვა ქვეყნების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მკაცრად რომ ვთქვათ, მრავალმხრივი შედარებიდან აღებული ორი ქვეყნის შედარება, არ არის ამ ორი ქვეყნის ორმხრივი შედარების სრულად შესადარისი. საქართველოსა და სომხეთის ორმხრივი შედარება 2005 წელს რომ მომხდარიყო, შედეგი არ

⁴ Eurostat-OECD PPP პროგრამა მოიცავს ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს, ასევე აშშ-ს, კანადას, მექსიკას, ჩილეს, იაპონიას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, რუსეთსა და ისრაელს. დეტალებისთვის იხილეთ Eurostat-OECD-ის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტებზე, 2012 წლის გამოშვება, Eurostat-ი და OECD, ლუქსემბურგი 2012. (*Eurostat-OECD Methodological Manual on Purchasing Power Parities, 2012 edition, Eurostat and OECD, Luxembourg 2012.*)

იქნებოდა ზუსტად ისეთი, როგორც ცხრილ 4-შია მოცემული, თუმცა პრაქტიკულად განსხვავება, ჩვეულებრივ მცირე იქნებოდა.

ცხრილი 1 შეესაბამება უფრო შინამეურნეობათა ფაქტობრივ ინდივიდუალურ მოხმარებას, ვიდრე საბოლოო მოხმარების დანახარჯებს. შინამეურნეობათა ფაქტობრივი მოხმარება შედგება იმ დანახარჯებისგან, რომელსაც ისინი გაიღებენ უშუალოდ საქონელსა და მომსახურების შეძენაზე, რასაც ემატება იმ მომსახურებების ღირებულება, რომლებსაც ისინი ინდივიდუალურად იღებენ სახელმწიფოსგან, რაც უმთავრესად მოიცავს განათლებას, ჯანდაცვას, დასვენებას, გართობასა და კულტურას.

თავდაპირველად განვიხილოთ მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობების ინდექსები ცხრილში 1:

- რეალური დანახარჯები სურსათზე საქართველოში ნაკლებია სომხეთის იმავე მაჩვენებლის ნახევარზე. აქ სურსათში იგულისხმება მაღაზიებში ნაყიდი მოუშზადებელი ან მოშზადებული საკვები, ქართველების დანახარჯების შედარებით დაბალი წილი კი განპირობებულია რესტორნის საკვების მეტი მოხმარებით. საქართველოს დანახარჯები სასტუმროებსა და რესტორნებზე (უმთავრესად დანახარჯი რესტორნებზე) ორჯერ მეტია, ვიდრე სომხეთში.
- სომხეთის რეალური დანახარჯი სასმელებზე (ალკოჰოლურსა და უალკოჰოლოზე ერთად) არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, თუ საქართველო=100, უალკოჰოლო სასმელებზე მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობის ინდექსი სომხეთში არის 182.3. ისევე, როგორც სურსათის შემთხვევაში, ქართველები მოიხმარენ უფრო მეტ სასმელს რესტორნებსა და ბარებში, ვიდრე სომხები.
- საქართველოში მოიხმარენ დაახლოებით 80 პროცენტით უფრო მეტ თამბაქოს ნაწარმს, ვიდრე სომხეთში. თუ სომხეთი=100, მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობის ინდექსი საქართველოსთვის არის 183.2, თამბაქოს ნაწარმზე 12 პროცენტით უფრო მაღალი ფასების მიუხედავად.
- საქართველოში არსებითად უფრო მეტად მოიხმარენ საყოფაცხოვრებო ავეჯს, საოჯახო ნივთებსა და სახლის მოვლა-შეკეთებას, ტრანსპორტს, დასვენებას, გართობასა და კულტურას, მაშინ როდესაც სომხეთში უფრო მეტად მოიხმარენ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს და კავშირგაბმულობას, ვიდრე საქართველოში.
- ჯანმრთელობის დაცვასა და განათლების სფეროებში მოხმარება საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სომხეთში. თუ სომხეთი=100, მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობის ინდექსები საქართველოსთვის ტოლია, შესაბამისად, 115.1-ისა და 108.8-ის.

მთლიანობაში, ფასების დონეები საკმაოდ მსგავსია ორივე ქვეყანაში და PLI-ები ცხრილში 1, უმეტესად ერთმანეთისგან 10 პროცენტის ფარგლებშია განსხვავებული. ძირითადი გამონაკლისებია:

- სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას რაც შეეხება, ფასების დონე 10 პროცენტზე უფრო მეტით დაბალია სომხეთში, ვიდრე საქართველოში, პურსა და პურპროდუქტებზე.

რძის, ყველისა და კვერცხის, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, საცხოვრებელი სახლის, ელექტროენერჯისა და საწვავის, სატრანსპორტო მომსახურებისა და განათლებისთვის. საქართველოში ფასების დონე 10 პროცენტზე უფრო მეტით დაბალია, ვიდრე სომხეთში ზეთსა და ცხიმებზე, ხილსა და ბოსტნეულზე, სატრანსპორტო მოწყობილობებსა და საკომუნიკაციო მომსახურებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკომუნიკაციო მომსახურებისთვის ფასებს შორის განსხვავება: ფასების დონე სომხეთში 50%-ით მაღალია საქართველოსთან შედარებით.

- საინვესტიციო საქონლის ფასების დონე მაღალია სომხეთში, საქართველოსთან შედარებით. მანქანა-დანადგარებზე ფასების დონე საშუალოდ 20 პროცენტით, ხოლო შენობებისა და მშენებლობისთვის 5 პროცენტით მაღალია სომხეთში.
- ფასების დონე სახელმწიფო მართვის ორგანოების მომსახურების ფაქტობრივი კოლექტიური მოხმარებისთვის 10 პროცენტზე უფრო მეტად მაღალია საქართველოში. იგი შედგება მთავრობის დანახარჯებისგან ძირითად საზოგადოებრივ მომსახურებებზე, თავდაცვაზე, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, გარემოს დაცვასა და საცხოვრებელი სახლისა და საზოგადოებრივ კეთილმოწყობაზე. საქართველოში ფასების მაღალი დონე განპირობებულია იმით, რომ საჯარო მოხელეები აღნიშნულ საქმიანობებში მეტად მაღალანაზღაურებადნი არიან, ვიდრე მათი სომეხი კოლეგები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცხრილი 1 გვიჩვენებს შინამეურნეობების ფაქტობრივ ინდივიდუალურ მოხმარებას. იგი შედგება უშუალოდ შინამეურნეობის ხარჯებისაგან და მასზე დამატებული მომსახურებების ღირებულებებისაგან, ძირითადად ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე რომელთაც მათ ინდივიდუალურად აწვდის სახელმწიფო. ცხრილი 2 გვიჩვენებს მთავრობისა და შინამეურნეობების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯებს, რასაც შინამეურნეობები და მთავრობა უშუალოდ ხარჯავენ. მოსახლეობის ერთ სულზე შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მოცულობის ინდექსები გვიჩვენებს, რომ სომხეთის შინამეურნეობები ხარჯავენ დაახლოებით 23 პროცენტით მეტს, ვიდრე საქართველოს შინამეურნეობები. მთავრობის ინდივიდუალური სამომხმარებლო დანახარჯები ასევე მაღალია სომხეთში, ვიდრე საქართველოში: თუ საქართველო=100, მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობის ინდექსმა სომხეთში შეადგინა 147.2. აღნიშნულის წარმოდგენის ალტერნატიული გზა არის ის, რომ საქართველოს შინამეურნეობები ხარჯავენ ნაკლებს საქონელსა და მომსახურებაზე, და ისინი ასევე ღებულობენ უფრო ნაკლებ ინდივიდუალურ მომსახურებას, როგორცაა სახელმწიფო ჯანდაცვა, განათლება, დასვენება და კულტურა.

ცხრილი 3 ადარებს ორი ქვეყნის დანახარჯებს საქონელზე. სომხეთში მოიხმარენ დაახლოებით ერთი მესამედით მეტ პროდუქტს, ვიდრე საქართველოში. განსხვავება განსაკუთრებით დიდია მოკლევადიანი მოხმარების საგნებზე (მაგ. სურსათზე) და გაცილებით ნაკლები საშუალოვადიანი მოხმარების საგნებზე (მაგ. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი). მეორე მხრივ, საქართველოში მოიხმარენ მეტ გრძელვადიანი მოხმარების საგანს (მაგ. ავტომობილებს,

მაცივრებს) და დაახლოებით ერთი მესამედით მეტ სამომხმარებლო მომსახურებას, ვიდრე სომხეთში (მაგ. რესტორნები, დასვენება და ტრანსპორტი). თუმცა ქართველები მოიხმარენ მნიშვნელოვნად ნაკლებ მთავრობის ინდივიდუალურ მომსახურებას (მაგ. კულტურა და განათლება): თუ სომხეთი = 100, ერთ სულზე მთავრობის ინდივიდუალური მომსახურების მოხმარება საქართველოში მხოლოდ 68 იყო. რაც შეეხება ფასების დონეებს, სომხეთში ხანგრძლივი მოხმარების საქონელი 10 პროცენტით, ხოლო კაპიტალური საქონელი (მაგ. მანქანა-დანადგარები და შენობები) 7 პროცენტით უფრო ძვირია. მთლიანი მომსახურებები დაახლოებით 7 პროცენტით უფრო ძვირია საქართველოში, მაგრამ ეს გამოწვეულია სამთავრობო მომსახურებებზე უფრო მაღალი ფასებით. სამომხმარებლო მომსახურებას (მაგ. ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და პირადი მომსახურება) აქვს ფასების დაახლოებით იგივე დონე ორივე ქვეყანაში.

ცხრილი 4 გვიჩვენებს 2005 წლისთვის⁵ მთავარ შედეგებს და ისინი შეიძლება შედარებულ იქნეს 2011 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან ცხრილი 1-ში. ძირითადი დასკვნებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტის ჭრილში საქართველო უახლოვდება სომხეთს. თუ საქართველო=100, მოსახლეობის ერთ სულზე მოცულობის ინდექსმა სომხეთისთვის 114.3 შეადგინა 2005 წელს, რაც ნიშნავს, რომ რეალური მშპ ერთ სულზე დაახლოებით 14 პროცენტით მეტი იყო სომხეთში, ვიდრე საქართველოში. თუმცა, 2011 წლისთვის, სომხეთის ინდექსი ერთ სულზე, როდესაც საქართველო=100, შემცირდა 105.3-მდე, რაც ნიშნავს, რომ 2011 წლისთვის სომხეთის მშპ ერთ სულზე დაახლოებით მხოლოდ 5 პროცენტით იყო საქართველოზე მეტი;
- ფასების დონეები აგრეთვე უახლოვდება ერთმანეთს; როდესაც სომხეთი=100 საქართველოს მშპ ფასების დონის ინდექსი 2005 წელს შეადგენდა 104.5 - 4.5 პროცენტით უფრო მაღალი ვიდრე სომხეთში, მაგრამ 2011 წლისთვის ფასების დონე დაეცა 101.1-მდე - მხოლოდ 1.1 პროცენტით მაღალი ფასების საერთო დონეზე სომხეთში;
- სომხეთთან შედარებით, საქართველოში გაზარდეს რძის, ყველისა და კვერცხის, ზეთებისა და ცხიმების, უალკოჰოლო სასმელების, საყოფაცხოვრებო ავეჯის, საოჯახო ნივთების და მორთულობის, სახლის მოვლა-შეკეთებისა და განათლების მოხმარება, თუმცა შედარებით ნაკლებად მოიხმარეს ჯანდაცვა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. აგრეთვე დიდი ცვლილება იყო სასტუმროებსა და რესტორნებისთვის: 2005 წელს მოხმარება ერთ სულზე საქართველოში იყო ცხრაჯერ უფრო მეტი, ხოლო 2011 წლისთვის ერთ სულზე მოცულობის საქართველოს ინდექსი იყო მხოლოდ ორჯერ უფრო მეტი, სომხეთთან შედარებით. სავარაუდო მიზეზია ის, რომ სომხეთი მეტად იყენებს ამ მომსახურებებს, და მეტმა ტურისტმა მოინახულა ქვეყანა 2011 წელს;

⁵ სომხეთის ეროვნული ანგარიშების მონაცემები და მოსახლეობის მაჩვენებლები, წარმოდგენილი არმსტატის მიერ ICP 2005 წლის რაუნდისთვის, მოგვიანებით შესწორდა. ცხრილი 4-ის მონაცემები ასახავს ამ განახლებას. შედეგად, ცხრილი 4-ის მონაცემები განსხვავდება 2005 წლის ოფიციალური შედეგებისგან.

- საქართველოსთან შედარებით, 2005-2011 წლებში ფასების დონეები სომხეთში შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხისთვის, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელებისთვის, განათლებისთვის, რესტორნებისა და სასტუმროებისთვის. თუმცა, 2005-2011 წლებში საქართველოსთან შედარებით სომხეთში ფასების დონე გაიზარდა ზეთებისა და ცხიმებისთვის, თამბაქოს ნაწარმისთვის, კავშირგაბმულობისთვის, საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერჯის, აირისა და სათბობის სხვა სახეობებისთვის.

ცხრილი 1: ძირითადი შედეგები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით: 2011

	ნომინალური დანახარჯები (ეროვნული ვალუტის მილიონი ერთეული)		ნომინალური დანახარჯები (მშპ-ის პროცენტი)		საქართველო (სომხეთი=ბაზა)			სომხეთი (საქართველო=ბაზა)		
	სომხეთი	საქართველო	სომხეთი	საქართველო	PPP-ები (სომხეთი = 1.00)	ფასების დონის ინდექსები (სომხეთი = 100)	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები (სომხეთი = 100)	PPP-ები (საქართველო = 1.00)	ფასების დონის ინდექსები (საქართველო = 100)	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები (საქართველო = 100)
მთლიანი შიდა პროდუქტი	3 777 946	24 344	100,0	100,0	0,004578	101,1	95,0	218,434	98,9	105,3
ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება	3 356 372	19 073	88,8	78,3	0,004626	102,2	82,9	216,180	97,8	120,6
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1 830 675	5 991	48,5	24,6	0,004534	100,2	48,7	220,573	99,8	205,3
სურსათი	1 738 749	5 632	46,0	23,1	0,004518	99,8	48,4	221,342	100,2	206,7
პური და პურპროდუქტები	342 279	1 109	9,1	4,6	0,005143	113,6	42,5	194,428	88,0	235,4
ხორცი	307 108	873	8,1	3,6	0,004496	99,3	42,7	222,427	100,7	234,3
რძე, ყველი და კვერცხი	327 619	1 393	8,7	5,7	0,005615	124,1	51,1	178,084	80,6	195,7
ზეთები და ცხიმები	113 174	350	3,0	1,4	0,003758	83,0	55,6	266,120	120,5	179,8
ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი	502 641	1 245	13,3	5,1	0,003458	76,4	48,3	289,209	130,9	206,9
უალკოჰოლო სასმელები	91 926	359	2,4	1,5	0,004808	106,2	54,9	207,992	94,1	182,3
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	151 868	1 004	4,0	4,1	0,005527	122,1	80,7	180,918	81,9	124,0
ალკოჰოლური სასმელები	123 914	618	3,3	2,5	0,005723	126,4	58,8	174,726	79,1	170,1
თამბაქოს ნაწარმი	27 953	386	0,7	1,6	0,005081	112,2	183,2	196,828	89,1	54,6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	116 724	485	3,1	2,0	0,004635	102,4	60,5	215,770	97,7	165,3
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	270 741	2 117	7,2	8,7	0,005150	113,8	102,5	194,177	87,9	97,6
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	46 092	715	1,2	2,9	0,004503	99,5	232,5	222,065	100,5	43,0
ჯანმრთელობის დაცვა	205 389	1 757	5,4	7,2	0,005014	110,8	115,1	199,446	90,3	86,8
ტრანსპორტი	173 209	1 746	4,6	7,2	0,004650	102,7	146,3	215,060	97,3	68,4
სატრანსპორტო საშუალებები	42 961	208	1,1	0,9	0,003784	88,6	86,4	264,240	119,6	115,8
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია	51 066	1 100	1,4	4,5	0,004496	99,3	323,3	222,403	100,7	30,9
შემენილი სატრანსპორტო მომსახურება	79 182	438	2,1	1,8	0,005406	119,4	69,0	184,986	83,7	144,8
კავშირგაბმულობა	178 606	563	4,7	2,3	0,002925	64,6	72,7	341,845	154,7	137,5
დასვენება და კულტურა	76 745	1 435	2,0	5,9	0,004313	95,3	292,5	231,876	105,0	34,2
განათლება	149 624	1 328	4,0	5,5	0,005506	121,7	108,8	181,608	82,2	91,9
რესტორნები და სასტუმროები	39 709	628	1,1	2,6	0,004561	100,8	234,1	219,252	99,2	42,7
ფაქტური კოლექტიური მოხმარება	292 997	3 375	7,8	13,9	0,005008	110,7	155,2	199,666	90,4	64,4
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	982 731	5 474	26,0	22,5	0,004216	93,2	89,1	237,174	107,4	112,2
მანქანა-დანადგარები	163 530	2 045	4,3	8,4	0,003785	83,6	222,9	264,213	119,6	44,9
მშენებლობა	793 312	2 641	21,0	10,8	0,004333	95,7	51,8	230,781	104,5	192,9
წმინდა ექსპორტი	-891 488	-4 511	-23,6	-18,5	0,004526	100,0	---	220,932	100,0	---

ცხრილი 2: საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები: 2011

	ნომინალური დანახარჯები (ეროვნული ვალუტის მილიონი ერთეული)		ნომინალური დანახარჯები (შშპ-ის პროცენტი)		საქართველო (სომხეთი=ბაზა)			სომხეთი (საქართველო=ბაზა)		
					PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები	PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები
	სომხეთი	საქართველო	სომხეთი	საქართველო	(AMD = 1.00)	(სომხეთი = 100)	(სომხეთი = 100)	(GEL = 1.00)	(საქართველო = 100)	(საქართველო = 100)
საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯები	3 649 369	22 448	96,6	92,2	0,004666	103,1	89,0	214,325	97,0	112,4
შინამეურნეობების საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯი	3 144 469	17 361	83,2	71,3	0,004574	101,1	81,4	218,615	99,0	122,8
მთავრობის საბოლოო სამომხმარებლო დანახარჯი:	488 400	4 431	12,9	18,2	0,005141	113,6	119,1	194,523	88,0	84,0
ინდივიდუალური სამომხმარებლო დანახარჯი	195 403	1 055	5,2	4,3	0,005362	118,5	68,0	186,505	84,4	147,2
კოლექტიური სამომხმარებლო დანახარჯი	292 997	3 375	7,8	13,9	0,005008	110,7	155,2	199,666	90,4	64,4

ცხრილი 3: საქონელი და მომსახურება: 2011

	ნომინალური დანახარჯები (ეროვნული ვალუტის მილიონი ერთეული)		ნომინალური დანახარჯები (შშპ-ის პროცენტი)		საქართველო (სომხეთი=ბაზა)			სომხეთი (საქართველო=ბაზა)		
					PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები	PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები
	სომხეთი	საქართველო	სომხეთი	საქართველო	(AMD = 100)	(სომხეთი=100)	(სომხეთი=100)	(GEL = 1.00)	(საქართველო=100)	(საქართველო = 100)
სულ საქონელი	3 471 886	17 043	91,9	70,0	0,004451	98,3	74,4	224,653	101,7	134,4
სამომხმარებლო საქონელი:	2 489 155	11 569	65,9	47,5	0,004562	100,8	68,7	219,195	99,2	145,5
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	2 261 366	9 966	59,9	40,9	0,004587	101,4	64,8	217,984	98,7	154,3
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	141 199	885	3,7	3,6	0,004560	100,8	92,7	219,286	99,3	107,8
გრძელვადიანი მოხმარების საქონელი	86 590	717	2,3	2,9	0,004078	90,1	137,1	245,197	111,0	72,9
კაპიტალური საქონელი	982 731	5 474	26,0	22,5	0,004216	93,2	89,1	237,174	107,4	112,2
სულ მომსახურება	1 148 409	10 880	30,4	44,7	0,004834	106,8	132,2	206,868	93,6	75,6
სამომხმარებლო მომსახურება	643 510	5 793	17,0	23,8	0,004592	101,5	132,3	217,771	98,6	75,6
მთავრობის მომსახურება:	488 400	4 431	12,9	18,2	0,005141	113,6	119,1	194,523	88,0	84,0
ინდივიდუალური მომსახურება	195 403	1 055	5,2	4,3	0,005362	118,5	68,0	186,505	84,4	147,2
კოლექტიური მომსახურება	292 997	3 375	7,8	13,9	0,005008	110,7	155,2	199,666	90,4	64,4

ცხრილი 4: სასაქონლო ჯგუფები: 2005

	ნომინალური დანახარჯები (ეროვნული ვალუტის მილიონი ერთეული)		ნომინალური დანახარჯები (მშპ-ის პროცენტი)		საქართველო (სომხეთი=ბაზა)			სომხეთი (საქართველო=ბაზა)		
					PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები	PPP-ები	ფასების დონის ინდექსები	ერთ სულზე მოცულობის ინდექსები
	სომხეთი	საქართველო	სომხეთი	საქართველო	(AMD = 1.00)	(სომხეთი = 100)	(სომხეთი = 100)	(GEL = 1.00)	(საქართველო = 100)	(საქართველო = 100)
მთლიანი შიდა პროდუქტი	2 242 881	11 282	100,0	100,0	0,004133	104,5	87,5	241,982	95,7	114,3
ფაქტობრივი ინდივიდუალური მოხმარება	1 786 190	8 419	79,6	74,6	0,004074	103,1	83,1	245,451	97,0	120,3
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1 131 930	2 611	50,5	23,1	0,003729	94,3	44,5	268,194	106,0	224,9
სურსათი	1 067 763	2 557	47,6	22,7	0,003726	94,3	46,2	268,360	106,1	216,6
პური და პურპროდუქტები	262 841	656	11,7	5,8	0,003842	97,2	46,7	260,288	102,9	214,2
ხორცი	143 998	333	6,4	3,0	0,003944	99,8	42,1	253,555	100,2	237,4
რძე, ყველი და კვერცხი	209 363	539	9,3	4,8	0,004314	109,1	42,9	231,791	91,6	233,0
ზეთები და ცხიმები	80 231	147	3,6	1,3	0,003903	98,7	33,8	256,237	101,3	296,0
ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი	294 288	608	13,1	5,4	0,003142	79,5	47,2	318,220	125,8	211,8
უალკოჰოლო სასმელები	64 167	55	2,9	0,5	0,003525	89,2	17,4	283,707	112,2	574,4
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	60 019	456	2,7	4,0	0,004233	107,1	128,9	236,237	93,4	77,6
ალკოჰოლური სასმელები	37 992	118	1,7	1,0	0,003204	81,0	69,7	312,117	123,4	143,6
თამბაქოს ნაწარმი	22 027	338	1,0	3,0	0,005604	141,8	196,5	178,449	70,5	50,9
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	53 650	217	2,4	1,9	0,003887	98,3	74,9	257,293	101,7	133,5
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	128 418	1 009	5,7	8,9	0,005596	141,6	100,9	178,693	70,6	99,1
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	30 637	242	1,4	2,1	0,003640	92,1	155,7	274,737	108,6	64,2
ჯანმრთელობის დაცვა	90 401	937	4,0	8,3	0,004263	107,8	174,8	234,597	92,7	57,2
ტრანსპორტი	85 058	1 057	3,8	9,4	0,004100	103,7	217,9	243,931	96,4	45,9
კავშირგაბმულობა	19 552	349	0,9	3,1	0,004419	111,8	290,3	226,312	89,5	34,5
დასვენება და კულტურა	25 254	430	1,1	3,8	0,004189	106,0	292,3	238,719	94,4	34,2
განათლება	86 203	345	3,8	3,1	0,004077	103,1	70,6	245,283	97,0	141,7
რესტორნები და სასტუმროები	11 324	513	0,5	4,5	0,003585	90,7	907,4	278,930	110,3	11,0
ფაქტიური კოლექტიური მოხმარება	143 786	1 035	6,4	9,2	0,005622	142,2	92,0	177,887	70,3	108,7
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	667 323	3 261	29,8	28,9	0,003804	96,2	92,3	262,852	103,9	108,3
მანქანა-დანადგარები	84 807	1 394	3,8	12,4	0,003565	90,2	331,2	280,485	110,9	30,2
მშენებლობა	576 932	1 763	25,7	15,6	0,003903	98,7	56,3	256,236	101,3	177,7

ტექნიკური დანართი

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (Purchasing power parities (PPP)) მთავარი სასაქონლო ჯგუფებისთვის

თითოეული ქვეყნის მშპ დაყოფილი იყო 183 მთავარ სასაქონლო ჯგუფად, როგორცაა: ბრინჯი, ხორცი, ტანსაცმელი, სატრანსპორტო აღჭურვილობა და არასაცხოვრებელი შენობები. ორმხრივი სია, რომელიც წარმოადგენს ამ 183 ჯგუფს, მოიცავდა საქონელთა შემდეგ რაოდენობას:

	ორივე ქვეყანაში შეფასებული საქონლის რაოდენობა და მომსახურების
მომხმარებელთა გამოკვლევა	
სურსათი	321
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	207
საოჯახო საქონელი	179
მომსახურებები	113
ავეჯი	61
ჯანდაცვა	89
სატრანსპორტო საშუალებები	31
ტრანსპორტი, რესტორნები, სასტუმროები	84
სულ სამომხმარებლო საქონელი და მომსახურება	1085
კაპიტალური საქონლის გამოკვლევა	
მანქანა-დანადგარები	104
სამშენებლო მასალები	44
სულ კაპიტალური საქონელი	148
სულ სამომხმარებლო და კაპიტალური საქონელი	1233

მაგალითად, ბრინჯის ჯგუფში ფასები შეგროვდა ბრინჯის რვა სხვადასხვა სახეობისთვის. ფასების ფარდობები გაანგარიშებული იყო საქართველოში ბრინჯის კონკრეტული სახეობის ლარში გამოხატული ფასის შედარებით ბრინჯის იმავე სახეობის დრამში გამოხატულ ფასთან სომხეთში. ბრინჯის სხვადასხვა სახეობისთვის ფასების ფარდობების საშუალო გეომეტრიული გამოთვლილი იყო მთლიანად

ბრინჯის ჯგუფისთვის ფასების ფარდობის მისაღებად⁶. ჰომოგენური პროდუქტების ფასების ფარდობების ამ საშუალოებს ეწოდებათ „PPP-ები მთავარი სასაქონლო ჯგუფებისთვის“. აღსანიშნავია, რომ არსებობს ამ PPP-ების წარმოდგენის ორი ფორმა (თითოეული მათგანი უბრალოდ მეორის შებრუნებულია):

$$PPP_{\text{ჯგუფის}}^{G/A} = \sqrt[n]{\prod_{i=1}^n \frac{p_i^G}{p_i^A}} \quad \text{და} \quad PPP_{\text{ჯგუფის}}^{A/G} = \sqrt[n]{\prod_{i=1}^n \frac{p_i^A}{p_i^G}}$$

სადაც A და G არის სომხეთი და საქართველო, p არის ფასი და n ძირითად სასაქონლო ჯგუფში შემავალი საქონლის რაოდენობა.

PPP-ები მსხვილი აგრეგატებისთვის

PPP ბრინჯისთვის შემდგომ აგრეგირებულია სხვა საკვები პროდუქტების PPP-ებთან *სურსათის* PPP-ის მისაღებად. *სურსათის* PPP შემდგომ აგრეგირებული იქნება შინამეურნეობების სხვა სახის დანახარჯებთან შინამეურნეობათა სამომხმარებლო დანახარჯების PPP-ის მისაღებად, რაც თავის მხრივ, აგრეგირებულია სამთავრობო დანახარჯების, კაპიტალის ფორმირებისა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის PPP-ებთან მთლიანი შიდა პროდუქტის PPP-ს მისაღებად.

მთავარი სასაქონლო ჯგუფების PPP-ები აგრეგირებულია დანახარჯების წილების გამოყენებით, რომლებიც გამოთვლილია როგორც დანახარჯების წილი თითოეული სასაქონლო ჯგუფისთვის მთლიანი დანახარჯების მოცულობაში მშპ-ში ან სხვა შესაბამის აგრეგატში (წილების ჯამი=1, ან 100). იმის გამო, რომ არსებობს დანახარჯების წონების ორი განცალკევებული ჯგუფი, ანუ საქართველოსა და სომხეთის დანახარჯების წილები, აგრეგირებული PPP-ები არის წონების თითოეული ჯგუფის გამოყენებით შეწონილი PPP-ების (ლასპეირესისა და პააშეს ინდექსები) გეომეტრიული საშუალო (ფიშერის ინდექსი). მაგალითად, ARM / GEO PPP *სურსათისთვის* მიღებულია შემდეგნაირად:

$$PPP_{\text{სურსათი}}^{A/G} = \left[\sum_{j=1}^k (PPP_j^{A/G} \times W_j^G) \times \left(1 / \sum_{j=1}^k W_j^A / PPP_j^{A/G} \right) \right]^{\frac{1}{2}}$$

სადაც, k არის *სურსათის ჯგუფში* შემავალი ძირითადი სასაქონლო ჯგუფების რაოდენობა და W არის დანახარჯების წონები ამ ჯგუფებისთვის, როგორც მათი წილები *სურსათის* მთლიან ჯგუფში.

⁶ პრაქტიკაში, გაანგარიშებებში აგრეთვე გამოყენებული იყო ფიქსირებული წარმოსახვითი წონები „მეტად მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ პროდუქტებისთვის. თუმცა ის პროდუქტები, რომლებიც მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ერთ ქვეყანაში, თითქმის ყოველთვის იყო მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი მეორე ქვეყანაში, ამიტომ ამ წონების გამოყენების ზეგავლენა ვირტუალურად უმნიშვნელო იყო.

სხვა სიტყვებით, ARM / GEO PPP სურსათისთვის არის სასურსათო პროდუქტების ARM / GEO იმ PPP-ების საშუალო გეომეტრიული, რომლებიც შეწონილია საქართველოს წონებით და იმავე PPP-ების, რომლებიც თავის მხრივ შეწონილია სომხეთის წილებით (ჰარმონიული საშუალო). GEO / ARM PPP სურსათისთვის მიიღება ანალოგიურად.